საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 2317-03
11/12/2023

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2020 წლის 30 დეკემბრის №4299-03 ბრძანებაში „სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის საფასურის გადახდის, ფინანსური დავალიანების ადმინისტრირების, ჯარიმის ადმინისტრირებისა და თანხის უკან დაბრუნების წესი“-ს დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 23-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ”ზ” ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-19 მუხლის 1-ლი პუნქტის, მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტის „თ” ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შევიდეს ცვლილება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2020 წლის 30 დეკემბრის №4299-03 ბრძანების დანართის „2.11.“, „3.7.“, „4.1.“ და „4.5.“ პუნქტებში და „სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის საფასურის გადახდის, ფინანსური დავალიანების ადმინისტრირების, ჯარიმის ადმინისტრირებისა და თანხის უკან დაბრუნების წესი“ დამტკიცდეს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად;
2. უნივერსიტეტის საერთაშორისო სტუდენტების დეპარტამენტს დაევალოს ამ ბრძანების დანართის „4.5.“ პუნქტის საერთაშორისო სტუდენტებისათვის გაცნობა;
3. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას, ეს ბრძანება გააცნოს ყველა ფაკულტეტს/სკოლას, იურიდიულ სამსახურს, აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურს, ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახურს, რექტორის აპარატს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ადმინისტრაციის სამდივნოს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს.

ქეთევან ლაკირბაია

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი